

F 24
1887

საქართველო
სამართლის
სამსახურის
მუნიციპალიტეტი

მედგრი

საშოთაველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელს

№ 12

პარილის 12.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 ქ.
ნების მოწერა მიიღება: თბილისში რედაქტ. კანცორაში. ფილი
ბესარ. გალანდაქეთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: თიფ-
ლის, ვხ. რედაქციი გავლენა „TEATRЪ.“ გაზონი ისეუდება: თბი-
ლისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ჩიგნის ყურთა: ალისანდრის პაპირო-
ჭის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკ-
მახერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრეცონდენცია) გარევენით
უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოთხოვს წერილებს რედაქცია შეა-
სწორებს. რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ
შესახებ მიწერ-მოწერას.

უკველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-
ცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

მოგონება.

იოსებ დავითაშვილის წარსული.

65
მარგია ვინც ფრინველივით გამოდის დღითი - დღე;
კარგია ვისაც არ აფიქრებს არც წარსული, არც აწმყო, არც
მომავალი. საწყალი კაცი, რომ დაფიქრდება თავის ცხო-
ვრებაზე, არ შეიძლება არ გაუორკეცდეს დარღი და მწუხარე-
ბა, არ შეიძლება არ შეირყეს მისი იმედები მომავალზე. სა-
ნამ კაცი არ მოიგონებს სხვა-და-სხვა მაგალითებს თავისი
წარსულიდამ, შორს მჭერეტი თვალით არ დაკვირდება მათ
და არ შეადრებს აწმყოსთან, შეიძლება ცოტა რამ იმედი,
ცოტა რამ ნუგეში კიდევ ჰქონდეს თავის მომავალზე, მაგრამ
რა წამს დაფიქრდება — თავ ზარ დაცემულს მუხლები ჩაეკრი-



უება, ყოველი იმედი გაუქარწყლდება: ცხადად დაინახავს, რომ ჩვენ მაშა-პაპათ უფრო ბევრი უკეთებიათ, ვიღრე ულა-პარაკნიათ და, ეისაც ბევრი უკეთებია—დაფასებულიც ისა ყოფილა ყველასაგან. ჩვენ კი... ჩვენი ხელიდამ არაფერი საქმე არ გამოიის, სიტყვით კი ერთი ეხლანდელი ოცს უწინდელს გადაჭრაბებს. მხლა იმას ვაფასებთ, იმას ვაძლევთ ლუკმა-პურის შოვნის სახსარს, ვინც ცარიელა ლაპარაკის მეტი არა არის-რა. ვინც ასეთი არ არის, იმედი ნუ აქვს, რომ ცარიე-ლი ლუკმა-პური გამოულევლად ჰქონდეს; იმედი ნუ აქვს, რომ რაც უნდა კაცობრიული ღირსებებით სავსე იყოს, იმას ლუკმა-პური მიაწოდოს ვინმემ შიმშილითაც რომ კედებოდეს.

მხლანდელ დროში, ვინც კაცური ღირსებე-
ბით არის სავსე, ვინც არ არის ფლიზი, შური, ორ-
პირი, ეისაც თავისი თავი დაეიწყებული აქვს და მარტო მო-
ყვასზე ფიქრობს, იმას პატივსა ვცემთ... მარტო გულში.
მეტის-მეტად იწნება კაცი გაუქებული, რომ „ვულში“ მაინც
პატივს არა სცემდეს ზემო მოყვანილი ღირსებების მქონე
კაცს, მაგრამ ამ პატივ საცემ კაცს, რაც უნდა გ-ჭირება ჰქონ-
დეს—არ შევეწევით რაც უნდა ბევრი შეგვეძლოს, თუ ეს
უკანასკნელი ჩვენი ხარისხისა არ არის.

მე, ამ პატარა შენიშვნის დამწერი, კარგად ვიცნობდი,
განსვენებულს იმსებ დავითაშვილს. მს იყო ღარიბი, ღატაკი
დედ-მამის შეილი. უუროსი მისი ძმა ზიგო დავითაშვილი
(ამ 5—6 თოვის წინად გარდაიცვალა შეშლილთა საავალმყო-
ფოში) ცხოვრობდა თბილისში და ნარდათ იღებდა სახლების
შენებას და სხვა ამ გვარ საქმეებს. არ მასხვეს 1868 თუ
1869 წელში ჩამოიყვანა თავისი ძმა იმსები სოფლიდამ და
მიაბარა ვიღაც მეჩუქურთმეს. იმსები აქ არ დადგა დიდხანს.
იშოვნა ამ ხელობის (ჩუქურთმის) უუსაჭიროესი იარა-
ლები და თავი დაანება თავის ოსტატს. აციდოდა ხოლმე
კვირაცხველის მთაზე (კუკიაში) და იქ უოსტატოდ სწავ-
ლობდა ხელობას.

მრთი წლის განმაელობაში ისე შეისწავლა ეს ხელობა, რომ პატარა „რამკების“ გაკეთება შეუკვეთა ვიღაც ვაჭარმა. რადგანაც არა ჰქონდა სხვა-და-სხვა წერილი იარაღები, რომელიც მისთვის იყო საჭირო, ამისათვის მიკმართა თავის ძველ ნაისტატარს ამ პირობით, რომ მოგება შუაზედ უნდა გაეყოთ.

რომ უფრო გაემშევნიერებინა შეკვეთილი „რამკები“ მოსებმა ისურეა სხვა-და-სხვა ზოლებში ამოვეჭრა სახელი და გვარი პატრიონისა და მომმართა მე შემჯევი სიტყვით: ბ. №! მე ენახე შენი ნაწერი, ძალიან მომეწონა; ნუ დაიხარებ მთავრული ასოები დამიწერე „ზაკაზისთვის“ მინდა, მერე წერას შევისწავლი. (ზედ მიწევის ეს არის იმის სიტყვები). ამ დროს ამოილო უბიდეს ჭუჭუიანი ქალალდი, რომელზედაც იყო დაწერილი ქართული ანბანი ძალიან ცუდი ასოებით. „პი ეს დავაწერინე (ალარ მანსონს ვისზე მითხვა), მვინია რომ კარგი ასოები არ უნდა იყვეს, მაგრამ მაინც ვცდილობ“ და, მაჩვენა რამდენიმე ფიცარი საღაც ნახშირით ეხატნა ეს ასოები. მე დაუწერე ახალი ანბანი. ეს იყო 1872—73 წ. უყიდე კარანდაში და ქალალდი... როდესაც გარდავეცი ქალალდი და კარანდაში დუქანში, საღაც მაშინ მუშაობდა (ეს იყო ავჭალის ქუჩაზე, ომარხანას სახლებ ზევით, ეხლა რომ ლეინის „პოდვალია“) მომწერა უცებ და ხელზე მაკოცა. ამ ხნის შემდეგ წიგნების კითხეის გარდა გული აღარაზე მისდიოდა. შეელამ აბუჩად აიგდო და ისიც არავის უდგებოდა. პტყვილდა რომ არაენ თანაუგრძნობდა მის ქუცას და ამისათვის ყველას შორს უვლიდა. მარტო მაშინ მივიდოდა ხოლმე ძმასთანაც და ნათესავებთანაც, როდესაც შიმშილს ვეღარ გაუძლებდა.

ორი წლის შემდეგ მე რუსეთში წავედი და იქ მომიერდა მოსების მშევნიერი (შინაარსით) წერილი. წერილის ბოლოს ჩიოდა რომ ფული არა ჰქონდა წიგნები ეყიდნა. ასე და ამ გვარი ტანჯეით შეისრულა ი. დ—შვილმა თავისი სურვილი და შემდეგ გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე.

ცხოვრებაში ი. დ. იყო ჭუველი კაცური ღირსებებით

საესე; არა ჰქონდა მას სიფლიდე, ორპირობა, შური. მრთის სიტყვით ძალიან პატიოსანი კაცი იყო. „ზამოუთქმელი“ იყო, მაგრამ თუ იტყოდა—იტყოდა მართალს, დაუფერე-ჩებლივ. შიმშილით რომ კუჭი სწოდა, ერთი მანათი ჰქონდა ჯიბეში და გაეგო რომ ახალი წიგნი გამოვიდაო, შიმშილით გადასანსალდებოდა და იმ წიგნს იყიდდა, თითონ წაიკითხავდა და მერე თავის ნაცნობებს და ამხანაგებს წაუ-კითხავდა და აუხსნიდა.

უყარდა თავისი სამშობლო და თუ სიცოცხლეს ნატრობ-და—ნატრობდა იმისთვის, რომ საჩემებლობა რამ მოეტანა მის-თვის; უყარდა განათლებულნი პირნი, ებრალებოდა „დაბა-ლი,“ ბნელი ხალხი; უყარდა ყოველგვარი ხელოვნება, უყ-ვარდა თეატრი.

ი. ღ—შეიძლო კარგათ ეცხოვრა, როგორც კარგ ხელოსანს, მაგრამ, როგორც ვიცით ყველამ, არც ტა-ნისამოსით და არც კუჭის სიმაძლრით უბრალო მთხოვარი-საგან არ გაიჩინეოდა; თუ იშოვიდა რასმე უსათოვოდ ეცდე-ბოდა რომ მოყვასისთვის ანუ მოყვასის სასაჩემებლო საქმის-თვის შეეწირა. აქ მაგალითებს ბევრს მოვიყანდით, მაგრამ სა-ჭირო არ არის—ვინც იცნობდა ი. ღ—შეიძლს იმან კარგად იცის ყველა ქს და მას (ი. ღ—ს) ხომ საქართველოს ყველა კუთხეში იცნობდნენ...

მხლა ორიოდე სიტყვა მინდა ესთქეა იმაზე თუ როგორ უყურებდნენ, როგორ ექცეოდნენ მას ისინი ვისთვისაც კედე-ბოდა, ვისაც რალაც მოწიწებით და სასოებით შეჰყურებ-და. საწყალი, გაუნათლებელი, მუშა ხალხი ამბობდა მასზე: „ჰქვიანი კაცია,“ „ერთი გრიში რომ ჰქონდეს და კაცმა სთხოვოს უარს არ ეტყვის.“ რამ საქმე, შემთხვევა რომ ყო-ფილიყო, ამბობდნენ; „იოსებასთან წავიდეთ, ის გვეტყვის, ის გაგვაგებინებს.“ როდესაც ქუჩაში დაინახავდნენ დაიწყებ-დნენ ლაპარაკს: საწყალი რა ჰქვიანი კაცია და რასა ჰგავს, გლახესავით (მთხოვარი) დაის!

—„მაღალდების (წიგნების) კითხვას და ამხანაგების ჩი-ჩინს უნდება და თავის-თავი აღარ აგონდება და სხვ...

დიახ „მდაბიო“ ხალხს უყვარდა; მრავალი ამათგანი ისე შეეჩერა ი. დ—შეილის საუბარს, წიგნების კითხვის ყურის-გლებას, რომ ესენი აცხოვერებდნენ, ჯამაგირსაც კი დაუნი-შნაერდნენ რომ შესძლებოდათ...

ნასწავლი (?!?) ყმაწვილ-კაცობა როგორ და ექცეოდა, რას ფიქრობდა მასზე?— აი ზედ მიწევნით ამათი ლაპარაკი იოსებზე: „ჰო! კარგი ბიჭია!“ ჩუმი!.. რაც გინდა დასაქმო გაა-კეთებს!.. ლექსებსაც სწერს, ხა,-ხა,-ხა!..

თელავში წასელამდის ი. დ. იყო ბანკის (პრეზიდენტის-ულ) თეატრში უბრალო მუშათ—ფარდის ამწევათ. ორი მა-ნეთი ჰქონდა თითო წარმოდგენაზე ასე რომ თვეში 12—15 მან. აიღებდა. ბანკის შპართველებმა დეკორატორად მიიღეს კილაც ტერ-ზრიქურიანცი, რომელსაც 50 მან. ეძლეოდა თვე-ში და ისევე იცოდა დეკორატორობა როგორც მე... ჩაის მოყვანა.

ბ. ტერ—გრ—ანცს ძალიან ებეერა ი. დ—შეილისათვის 2. მ. და სხვებმაც დაინახეს, რომ შეიძლებოდა „ცოტა-ოდენის“ მოკლება—ათი შაური მოუკლეს. ამ დროს წარ-მოდგენებიც უფრო იშეიათად იმართებოდა და საწყალი იო-სები თვეში 6—7 მ. 50 კ. ძლიერა იღებდა. პასაც ჰქონ-დებოდა, მაგრამ ესეც შეიშურეს—დაითხოვეს. ამის შემდეგ წავიდა თელავში, სადაც მე, ერთს პატიოსან პირთან მიუწე-რე წერილი, რომელშიცა კოხოვედი ჩემს მეგობარს, რომ შეს-წეოდა სამუშაოს შოენაში...

ზანა აქ, თბილისში, ზოგი ერთებს, არ შეეძლოთ ერ-თი ლუქმა პურის შოენის სახსარი გაეჩინათ დავითაშეილისა-თვის? ზანა არ შეეძლოთ ამისთანა „მორჩილი“ და „ჩუმი“ კაცისათვის 25—30 მ. დაენიშნათ და რამ საქმეზედ დაეყე-ნებინათ—იმისთანა საქმეზედ საღაც პატიოსანი და უტუუ-რი კაცია საჭირო?— შეეძლოთ, მაგრამ ვისაც შეეძლო—ისი-ნი იქამდის ვერ დამდაბლდნენ, რომ იმისათვის ყურადღე-ბა მიექციათ.

Օռվեալո Առաքելություն, հռմ լուրջի գործություն, օյնեցա
շնորհի զարգացման համար Առաքելություն-Վարչություն
սահմանական կազմություն է պատճենաբանություն... առաջնական
առաջնական պատճենաբանություն... առաջնական պատճենաբանություն...

ବିଦ୍ୟାକୁଣ୍ଡଳର ଜୀବନତଥି ପଦମାଲା.

„Ноң ағынды“.

(თარგმნილი რესულიდამ)

მოხელე ვინნიკოვი იმისთანა ჯურა ხალხს ეკუთ-
ვნოდა, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ თვისი
არსებობისათვის დღე და ღამ მოშიშრობები... ვინნიკოვის
ცხოვრებაში ძლიერ ბევრი მიზეზი იყო, რომელიც შიშის
ზარსა სცემდა მას. უპირველესი ამ მიზეზთაგანი ესენი იყო:
უფროსი გაუჯატრდება, რადგან ხუთი წაში დაიგენა,
ქალალდი უშროდ გადასწერა, შეცდომები გაუშეა და მებ-
რეე სხ... უფრო შორეული მიზეზთაგანი: ხმებია, რომ ჩეუ-
ბი აუცილებელია, ან და, შინაგან სამინისტროს საქმეებზედ
გადადებული ხარჯი შემცირებული იქმნება. ვკონებ მოშიშ-
რობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, როცა ხმები დადის, რომ
ჩეუბი, თუნდ ხარჯთა შემცირება აუცილებელია, მაგრამ ვი-
ნიკოვი სულ სხეაფრივ სჯიდა: ის ფიქრობდა, რომ თუ
ჩეუბი ასტყდა, მაშინ ხარჯთა დამცირება დაემჩნევა სახელდობრ
იმ კანცელარიას, სადაც იგი მსახურებს და ამიტომაც შეი-
ძლება რომ სამსახურიდან დაითხოვონ.

Յոնովոց, յալալդեծիս ցածրերու ցահճա, առ Շեշմլո-
ւն արագրու ցակըտեմա, միտսաւու մեղլու-լա մոյքիցու սեցա
չշուրու կապրես, հաջանապ տաշու կան լուղարու միունքու և
Շեշտցու ցեղուա. Վհու ս ուրբցու թաս առ Շեշմլուան լուղուրեմա,
առ Շեշմլուան մոյքու լու սեցա ցյան ցահճուցեան լա, թա թա-
սացաւը, մոյլու մուս անկեծուա ռջե հուտուրի լամուցեցեց-

ლია არა მასზედ, არამედ იმ სამსახურზედ, რომელიც მას ხელში უჭირავს და დაკარგვა სამსახურისა იმასა ნიშნავს, რომ მან დაკარგოს ცხოვრების უკანასკნელი სახსარი. ამითი, მხოლოდ ამითი, აიხსნება მისი ავად-მყოფობრივი შიში, რომელიც ორ-კეცლება, მით უმეტეს, რომ ამისთანა კაცისათვის, როგორიც ვინიკოვია, სამსახურის დაკარგვა ისევ ადეილია როგორც გარეშე პირისათვის ერთხელ გადაფურთხება. ამისი მაგალითები თვალ-წინ ეჩინიება, მაგ. მისი კარგი მეგობარი, ჩერნიკიკოვი, კარგს ჯამაგირს იღებდა, თანამდებობა დის ხანს ეჭირა, მაგრამ მერე უფროსს ვეღარ ასიამოვნა... ეხლა სამსახურში უმყოფობისაგამო სილატაკეში ჩაერდა.

* * *

ვინიკოვს აფერ ოცი წელიწადია უჭირავს ხელში ეს თანამდებობა და ხუტმეტ წელიწადზე მეტია რაც თავისი არსებობისათვის კან კალებს. პარეკლ წლებში, სამსახურში მყოფობის დროს, ვინიკოვს შიში ვეღარა ჰფლობდა, რაღაც იგი ჯერ კიდევ ახალ-გაზდა, ჯან-მრთელი იყო და ჯერ სამსახურს მიჩეული არ იყო. მაგრამ რაც ხანი გადის, ის უფრო და უფრო ეჩვევა სამსახურს, შიშიც უფრო მაგარს, მძლავრს ფეხს იკიდებს მასში და ბოლოს სრულიად იბყრობს მას. შიშის გამო ვინიკოვი გახდა, ჩვეულებრივი ჩინოვნიკი მოხელე, რომელიც თავის უფროსის წინაშე იკლაკნება, როგორც უურ-მოჭრილი მონა; მხოლოდ ორს სიტყვას ხმარობს ლაპარაკში თავის უფროსთან: „დიალ! და „მჯერა“! შოველ-დღე, თითქმის 12 საათის განმავლობაში, ერთხელაც არ გადიხრის ზურგსა! ვინიკოვი მთელს თავის სიცოცხლეს ისრე ატარებს, როგორც მომართული საათის მაიატნიკი. დღითი—დღე, წლითი—წლად ერთნაირად მიდის მისი საქმე. მაგალითად ესთქვათ: წარსულს 1870 წ. 19 ივნისს რაც საქმე გაუკეთებია, იგივე საქმეს აკეთებს 20 წ. შემდეგ იმავე დღეს. იგი მიეჩია ერთხელვე ჭახრაკიერით მოწყობილ ცხოვრებას: დილით ჩაის მიირთმევდა, მერე კანცელარიაში

წაბრანდებოდა, სამს საათზედ სადილობდა, შემდეგ დაიძინებდა, ექვსს საათზე ისევ ჩაის მიირთმევდა, მერე კანცელარიაში მივიღოდა და სხ. და სხ... ყოველ-დღე ნათლისთან ქალალდის სათამაშოდ მიდიოდა, ყოველ თოვის 20-ს რიცხვს თავის ამხანაგებთან ერთად ლაზათიანად გადაჰკრაედა ხოლმე. პი ყველაფერი ამ გვარად მიდიოდა ყოველს წელიწადს.

* *

დიალ, დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც პინწიკოვს მოუხდა ერთი მეტად შესამჩნევი შემთხვევა, რომელმაც სულ სხვა ფერი დასდო მის ცხოვრებას. მს შემთხვევა გახლდათ ცოლის შერთვა. ჯვარის დაწერა აი როგორ მოხდა: „ნაჩალნიკი,“ ჯამაგირს უმატებდა პინწიკოვს და თან ეუბნებოდა, რომ დროა ცოლის შერთვისათ. თვითონ პინწიკოვი ჰუკერი რობდა ამას, მაგრამ რაღაც ეერ გარდაეწყვიტა თავისი აზრი სისრულეში მოყენებანა და, კიდევაც ეერ განახორციელებდა ესე ჩქარა თავის სურეილს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ უფროსის ბძანება შეურყეველს და მძლავრს საგანს შეადგენს... პინწიკოვის მსგავს პირებთა ცხოვრებაში ყველაფერი სხვის ბრძანებით სრულდება ხოლმე. თუმც თვით იმითაც შეუძლიანთ სჯა და მოსაქმობა, მაგრამ არასოდეს თავიანთი აზრის სისრულეში მოყენება არ ძალუდსთ, ან და... უფრო თავის „ნაჩალნიკისა“ ეშინიანთ... მონახა თუ არა ვინიკოვმა საცოლო, მაშინვე ჯვარი დაიწერა. პრის შემდეგაც მისი ცხოვრება ისე ჩვეულებრივ მიმდინარეობდა, როგორათაც უწინ, მხოლოდ განსხვავება იმაში იყო, რომ ებლა უფრო შეიყვარა მან თავისი კანცელარია და შიშმა სრულიად შეიპყრო...

* *

მე-21 წელი გადის რაც პინწიკოვი მსახურებს. პი, სწორედ ამ დროს გაისმა ხმები, რომ იმ კანცელარიის მოხელე-

თა ჩიცხეი, სადაც ვინიკოვი შსახურობს, უნდა შემცირდესო. პდეილად წარმოიდგენთ რასა ჰერძნობდნენ ვინიკოვისებრივი ჩინოვნიკები! შევლას შიშის ზარი დაეცა და სრულიად შეიბყრო იგინი. თეითეული იმათთაგანი ცდილობდა „ნაჩალნიკის“ გულის მოვებას. ასე იფიქრეთ, რომ კანცელარიაში მოსამსახურებაც კი „უშლიდნენ“ თავიანთ გულის ფიცარსა... ჩინოვნიკები კანცელარიაში ძლიერ წყნარად დადიოდნენ, დახევლებისაც კი ეშინოდათ, მუშაობით ორჯერ მომეტებულს მუშაობდნენ, ეინემ წინად. ამ ნაირად ჰსურდათ „ნაჩალნიკების“ გული მოვეოთ რომ რამე ნაირად თავი დაეხსნათ იმ საზარელ უბედურობისაგან, რომელიც მათ კარზე ედგა. ჩინოვნიკებს იმედი ჰქონდათ, რომ ხმები ტყუილი გამოდგება, რადგან უფროსებს ჯერ გარდაწყვეტილი არა უთქვამთ რა, მაგრამ ხმები მართლდებოდნენ. მრთხელ ვინიკომვა რაღაც ქალალდი გადასწერა და თავის ნაჩალნიკს ხელის მოსაწერად შეუტანა. სანამ ნაჩალნიკი ხელს მოაწერდა, იგი კარებთან გამოჭიმული იდგა. ნაჩალნიკი რაღაც დალრეჯილი იყო, მხიარულობა. პირის-სახეზედ სრულიად არ ეტყობოდა. შეტრიუმა ხელი მოაწერა თუ არა, მიუბრუნდა და უთხრა ვინიკოვს—ძმობილო, შტატის შემოკლებას აპირებენ!

(უმდეგი იქნება).



ბიბლიოგრაფია.

I

„ქრისტიანული გრამმატიკის ტერმინთადოგიან“.

ქრისტიანულის სიტემიურების მოუკარეთაგან შედგენილი და გამოცემული. ქუთაისი. 1887 წ.

ესდანდედი ქრისტიანული სამწერლი ენა რომ არეულ-დარეული და დაუმეარებელია, ამას დიდი დამტკიცება არ უნდა. შეადარეთ ერთის მწერლის ენა მეორე მწერლისას, ან რომლისამე მწერლის ერთი ნაწერი მეორე ნაწერს, ან კადევ უკეთ, ერთის წერილის შირ-

ჟელი სტრიქონები უკანასკნელს სტრიქონებს და ცხადათ დაინახავთ, რომ ესლანდელს მწერლებს არა რაიმე ენის წესი და რიგი არა აქთ მიღებული და დაშვარებული. ეს მოვლენა რას გვიმტკიცებს? იმას კი არა, რომ კითომ ქართული ენა ბუნებით რაღაც უწესეული და ურიგო ენა იყოს. არა, მას თავის წესი და რიგი აქებს, ხოლო უბედურება ის არის, რომ ეს წესები და აიგება მწერლებს არა აქთ შეგნებული.

დატომ არა აქთ ჩვენ მწერლებს შეგნებული ქართულის ენის წესები? იმატომ რომ იმათ ქართული სტრიქონად არ უსწავლიათ; იმიტომ რომ გრამატიკა მეცნიერული არა გვაქს გამოკვლეული; იმიტომ რომ ისინი არა დიალექტი გრამატიკის შესაგნებელად ერთმანერობის რევისა და ცოდნის მოსმენას.

ეკრობაში ენის გამოკვლევა აკადემიკოსებსა და პროფესორებს აქვთ ვალად. ჩვენ ეკრობაში მიძაბა, ცხადია, არ შეგვიძლიან. აკადემიკოსებისა და პროფესორების მაგისტრობა იმათ უნდა გაგვიწიონ, ვინც ენის მცოდნებად და მოუპარუებად ითვლებან. იმათი ვალია შეკრიუბულის შრომით და ცოდნით გამოიკვლიონ ენის ბუნებრივი წესები, შეიტანოს მწერლობაში გრამატიკული კრთხერობა და დამჭაროს უკველ ნაირი ტესნიდები ტერმინები.

ეს მოვალეობა კარგად უგრძნიათ ქუთაისში ქართულის სიტუაციების მოუკარეთ. მათ შეერთებულის შრომით მაუვაით სელი ქართულის გრამატიკის წესების გამოკვლევისათვის და თავისთვის შრომის შირველს ნაუთვათ გამოუდიათ ამ წერილის სათაურად მოხსენებული წიგნი: „ქართული გრამატიკის ტერმინთლობა“.

თუმცა ძღიერ სასიმოვნოა ამ წიგნის გამოცემა და მაღლობის დიალენი არიან მის გამომცემელი, მაგრამ მე მაინც ვატევი, რომ მის გამოცემა ადრეულია. დღეს რომ ქართული გრამმატიკა გამოკვლეული იუვის ისე, როგორც სასურველია, დაას რომ ტერმინების ერთგვარობა გარეთ არა იქნებოდა. მაგრამ რაჯი ის კურიდებული სელ-უსლებულია, ტერმინების გამოცემაც წინამდებარება. რა იციან პატიკურებულმა ქუთაურებმა მოქართულებმა, რომ თვით გრამატიკის გამოკვლევის დროს რომელიც მათგან მიღებული ტერმინი ას გამოსაცვლელი, ას სრულად მოხსეპლი არ გასდება? ას

რატომ კეთინით მათ, რომ ასაღის ტერმინების უმოღება ადამი იქნება საჭირო? ჭერ გამოსავლეპი და სამუშაო ბევრი აქვთ და იქნება ბევრი რამ აღმოაჩინონ ახალი და აქციამდის უცნობი! ამიტომაც მე ვამჯობინებდი, რომ ბატონით ქუთათურს მოქართულების ჭერ თვით გრამატიკის შემუშავებისათვის მოეკიდნათ სელი და ტერმინოლოგია მერე და ემუსინათ.

ტერმინებში საერთო ბევრს კსელავ. ჩემის აზრით ბევრი ამ მეტია, ბევრი აკლია და ბევრიც კერ არის მოსერსებული, მაგრამ ამ სასად არა იურის ვამბობ. რადგან, როგორც კოქვი, ადრეულია ტერმინებზე ლაპარაკი, ჭერ-ჭერობით ვისურებით სულით და გულით, რომ თავიათ საქმეს პატივცემული მშრომელები ბოლომდის მიწოდიულები და მათ მიმბაპები ჩვენს თბილისის ქადაქშიაც გამოსხენიშვნები.

II

რაი მოთხრობა ს. მეცნიერებლისა: I ნორუაზე და II, დიდ-ზაღაპარი. თბილისი. 1887 წ.

ბ. ეფუშები ამ სააღდგომოდ ხწორე კარგა ყოფილა ჩაგონებული, რომ მგაღობლიუნილის ეს მოთხრობები გამოუცია ცალპე წიგნად. ცვერებაზე—მშენებირი საკითხავი მოთხრობაა, რომელ-შიც დასტურებულია სურათულება სოფლის საზოგადოდ მარტივის ცხოვრების ერთი მარტივი შემთხვევა—ქადაგების სიკვარული. ამ მარტივის სურათებში ისეთის სისრულით და სინამდვილით გამოსხივის ჩვენის სოფლის მცხოვრებლების სახიათი და ზე, რომ გეგონებით ავტორს ვიდაც თქვენი საცნობი გლეხები დაუხსრაო.

უკეთესი იქნებოდა, რომ ამ მოთხრობას არ ეკრას მეორე სურათული მოთხრობა დიდ-ზაღაპარი. ოუმჯო ესეც ჩვეულებრივის სოფლონებულის კიდოთი და ნიშით არის დაწერილი, მაგრამ, რაგა სულ სსკა წრეს შეეხება და სულ სსკა ჭურის საღსია იქ დასტურები, წინაამდევრის უწევს მარცვლის მოთხრობითგან მიღებულს ხაბუჭილებას, მკითხველის მსარეულება და თცნება, პირველის მოთხრობისგან გამოწევული, მეორის წაკითხვის შემდეგ ბოლმად და ნადღულად იქმნება. მაგრამ ეს სომ აკტორის ღიასება და მის ხელოვნებას ამტკიცებს მარტივს

დ. დეკნიაზიძე / კახაწერი /

* * *

როგორც შევიტევთ, გეღი ს-ცი ს ედს, წარსულს წელს უთარგმნია ორი პერს. „ინჟსა-დე-კასტრირი“—ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია გომესისა და ერთ მოქმედებიანი კომედია „მოგზაურინი“. ესლა სთარგმნის ხუთ მოქმედებიან დრამას „უგანასკენელი გამოსკვლა“ (Послѣдній выходъ).



ქართული თეატრი.

ნათებამია: „უპატრიონო სასდის ეშმაკები დაეპატრიონებიანო“. ჩვენ თეატრისაც ასე მოუვიდა. ქართულმა დრამტიულმა საზოგადოების თავი მანება ყოველს დრამატიულს საქმეს და უკვლა, კისაც კი ჭერს, ქართავს წარმოდგენებს.

კომიტეტის წევრებს, როგორც შევიტევთ ერთის მსრით, წარსული სეზონის დრამმები არ მოასწონებათ და უფიქრიათ ტრადეციების დაწერას. ამ მიზნით ერთ მათგანი (ტრადეციებთაგანი არა, კამიტეტის წევრთაგანი) კიდეც შესძგომა დამსახის (უპატრიონდ, „დამსახიდამ“ უნდა) სრულდას. ეს ამისათვის უთვილა თერმე საჭირო, რომ შეიძლება კაცს თავისი როლის „თამაშობის“ დროს იქმდის მოეწონოს სხვისი როლი და იქმდის დაივიწერს თავი, რომ ისურვოს სხვისი როლის თამაში. თუ ამ შეცვალ უპატიურებას მაუკენებს კისმეს, „დუღულში“ უნდა (?) გამოითხოვოს და, თუ კარგად არ იცის სრულა, თვითონკვა გაპამ-პულდება... მეორეს მსრით როგორც შევიტევთ, კომიტეტმა ბრალი აიყრა: ჩვენ აღარ გვცალიან მაგისტრებს ბუსტავებისთვის, როგორიც არის თქვენი თეატრით; ესლა დაჩობანს („დაჩა“) მოდის და იქ ქართველ უარტისტებოდან კარგათ კითამაშებთ, ამისთვის კაცხადებთ—გიცხადებთ: ესლა, რომ ვიღაც ბიჭ-ბუჭები წარმოდგენებს ქართავენ „ჩვენ იმაში არ კითარ მონაწილეობას არ ვიღებთო.“ ესე ჩემო ბატონებო!...

თუ დრომატიული დასის შატრონებში ასე გამოაცხადეს,
 არც არწენისეული თეატრის შატრონები ჩამოუკარდნენ მათ.
 ად რა უპასუხეს თუმე ამაზე; ჩვენ ფულის მოგება გვინდა, ესლა,
 „სობრანიები“ მოსხლოვდა და აბა რა დასდი უნდა გამგენოთ,
 თუ თეატრის ქირით მაიცნ არ აუსვითოთ თვალებით; სწორეთ ად
 ამასათვის ისე გაუხდით საჭეს ქართულ (არწენისეული) თეატრის
 სახელსაო, რომ ეს სახელი იყოს (თუმცა ეს ესლაც ასე არისო) სინონიმი ბრძოლი, შედგენილის ბიჭ-ბუჭებისაგან, (ამას ამტკიცებს
 ად—ლის ჯიბიდგან გადასული 65 მ., კიბესა შინა არტისტიანა-
 სა ბ. ბ. სუფლიორი გაღუსტოვის, რაზესილნი თამაზოვის, პრი-
 ბა შეიგდ საფაროვის და კომპ. ტრუპისა) და ბაზაზების შაგირ-
 დებიდგანო.) ბანქმა სთქვა და შეუდგა კიდეც ამ საჭმის განსირ-
 რიელებას; 1.) მისცა (აქინოვა) თეატრი რაზესილნი თამაზოვის
 „ცოცხალი“ სურათებისათვის. ეს იყო მათ დროთა შინა, რა უმს
 სუდოუნიგმა აღექმეულ-მესხიერება გვაჩვენა ცოცხალი ადამიანები; 2)
 მისცა—სუფლიორს გაღუსტოვის მას ჟამსა შინა, რდეს გვაჩვენას
 ბრძო ნაძვილთა კინტოთ და მამა იგი შაფვას დამსრჩვალი
 რაღაც უცნაური სენისაგან. 3.) ესლა მისცემენ (საჭმე განასტრუ-
 ლია) უბრალნიების დამგველს სატონს „ჯაფრას. და სხვ და სხვა...
 მაგრამ ეს ჩვენი საჭმე არ არის. ჩვენ წარმოდგენებზე უნდა
 კოჭვათ რამე.

სწორეთ მოგასხენოთ, არც უნდა ეთხადათ მოიქცეს ზემო
 სენებული კომპინიის დასი, იმისთვის წარმოდგენას გეღარ გა-
 მართავს, როგორიც იყო 8 ამ აპრილს: როგორც შიესა, ისე არ-
 ტისტები მეტად წნუშატელნი რამ იყო და. როგორც „განტოს“
 სალომეს (ამზობენ ეს უკანასკნელი („გინტო“) გამოხქილი შოუ-
 ტისა არისო, მაგრამ რომ მომკლათ კიდეც, არ დაკიჯორებ ამ
 მართალს, სააამ აკტორი არ დასწომს ან მოედს შიესას, ან სა-
 ლომეს, ან საქვენოდ არ გამოაცხადებს რომ ეს შიესა აკინისა არის) კერას დროს კერ გამოარჩევთ კინტოსაგან, ისე 8 აპრილს მო-
 თამშეთ სცენის გარედ კერ გამოარჩევთ კინტოსაგან. ჩაჭეაბესაგან.
 ამ დღეს სცენა მოგვაცონებდა იარმუქას-გვირაობით, როდესაც ბალლუ-
 ჭანები ერთი გლეხის ჯიბიდგან მეორესაში დაკრუბიან; მაგრა უკედა ეს
 ასე საქმია არ იქნებოდა, თუ არტისტებს არა სცოდნოდათ, რომ

ბოლო აგვირგვინებს საქმეს: ბოლოს დეკური უნდა უოფილიყო,
 მაგრამ პრივატური საფაროებს (მოწილე გასლდათ) უკუ მიეღო კას-
 საში შეტანილი ფულები და ერთეული: დეკური საჭირო ჩაარ აციხო.
 ხალხმა ძაღლა დაატანა. გამომახნდა საფაროებს კამანიონი გაღუს-
 ტოვი და შემოგვევლა: „დარ იქნება დეკური; ახლა აღარ წახეალოთ?“
 ისე შემოგვექმა ამ სიტყვებით, რომ შიშით ჩემ გვერდზე მჯდომს
 ქადა თრი ტურნური ერთად გაუსქდა... მას (გაღუსტოვს) ჯერ არ
 გაუთვალისწინება სიტყვით, ფარდის ქეშ გამომვრა, მგონია ა. აღნია შეი-
 ღლის ჭიბეს მერომი უმაწვიდა და გაგვასრა: „ჯერ ნუ წახეალოთ, ნუ,
 დეკური იქნება“, იქნება ა! მართადი გამოდგა. ფარდა აისადა და
 მოციმციმე ქ. ენდრონია შვილის მაგიერ წარმოგვიდგა ცხარე თრა-
 ტორი დავითგა (მაშინისტი), მომწევდეული ზემოსექნებული დასის
 და კომპ. შეაში, რომელიც (დავითგა) უმტკიცებდა ამ ბრძოლს, რომ
 ესენი არიან კინტოები, მაღანიშეები და თუ კიდევ გამართავნ ამი-
 სთანა წარმოგდენას, იგი (დავითგა) გაისცეა არაშე თუ არწირუ-
 ნისეული თეატრიდამ—თაბილისადმაც კა... ამათ რომ მიღილაპა-
 რაჟეს და გავიდნენ სცენიდამ—დაიწეს ლეპური ელისარის
 ხიკედილის სადღესასწაულოდ.

გაეცილია.

ნ ა რ ე გ ი

(ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ო).

ცხოვრების კანონები ამერიკაში.

საფუძვლიანად შეისწავლე შენი საქმე. მტკიცედ დაადე-
 ქი ერთ საქმეს და ნუ გასცელი მას სხვაზე.

დაეშურე საქმეს, მაგრამ ნუ აჩქარდება: ყველა თავის
 ჯერზე გაკეთე.

რაც დაიწყო, შეისრულე კიდეც.

მრთი „დღეს“, ორ „ხვალეს“ გერჩიოს. შერს ნუ უგ-
 დებ ბევრისაგან ბევრს რჩევას და იყავ დამოუკიდებელი.

რაც კარგათ მოფიქრების შემდეგ გადასწყვიტო, ის, უეპელად, ასრულე კიდევ.

ცუდათ ნუჩასოდეს ნუ იქნები; სამუშაოს ნუ გამოულევ თავსა და ხელებს: იმათ ძილის დროს შეუძლიანთ დაისვენონ.

შეელას თავაზიანად მოექეცი; იყვ სულგრძელი სიტყვა-ში და საქმეში; უშეელე ეკლიან გზაზე მავალს.

შეელაუერი მცირედიდგან დაიწყე: ვინც მაღლა სდგას, ისიც ყოფილა ოდესმე დაბლა.

ნუ ცდილობ უცბად გამდიდრებას; ცოტა, მაგრამ პატი-ოსანი შრომით მოპოვებული სარგებლობა, გაუმჯობესოდეს შენს კეთილს მდგომარეობას.

შწინ მოიფიქრე და შემდეგ გამოსთქვი შენი ჰაზრი: მარტო ტუტულები წამოროშავენ იმას, რაც ენაზე მოაღვებათ ხოლმე; — გახსოვდეს, რომ ჰაზრი შენ გეკუთნის, ხოლო ჰაზ-რი სიტყვით გამოთქმული — სხვებს.

(გასაჩინობი)

ერთმა მოსამსახურებ ათასის წმენდის დროს იატაკზე ფული იშვია, აიღო და თავის ბატონს მიართვა.

— „ეს ფული შენთვის მიზუქება, შენი ბატიოსანი ქცევა-სთვის,“ უთხრა ბატონის.

რამთდენიმე სწის შემდეგ ბატონს დაეკარგა ღქროს პატარა ჭრის. დაუძასა მოსამსახურეს და ჰკითხსა: „ხომ არ გინასხვს ღქ-როს პატარა ჭრის?“

— დიას, ბატონო, გნახე, მაგრამ ჩემთვის სახუჭად შევანა-სე ჩემი ბატიოსანი ქცევისათვის — მიუგო მოსამსახურებ.

* *

ერთს სახლობაში ასტედა მსჯელობა და ბისაი ესლანდელი დროის ზნის დაცემაზედ და მეტადრე უზრდელობის ფრთვ-ბის გამდაზე. ამ მსჯელობის დროს, სწორედ ამ წელულის და სე-ნის მპატეკელს უმაწვილს გაცს ი. ა-ს. წამისცდა მეტი-მეტი უზრდელი სიტყვა!

оі წამსკე იგრძნო თავის უცდომა, ბოდიში მოითხოვა ჟველასთან და განსაკუთრებით მიმართა ქალებს ამ სიტუაციით:

„მომიტებე, რომ ჩემის უზრდელიათ გამოკვედი ზაგრა-ნიციდგანო!“

— „მოტებებისა კი არა, მაღლობის ღირსი ხარ, მიუგო ერთმა ქალმა, რომ ჩვენდა შესარცხულებად იქ არც შენ დარჩენილსარ და არც შენი უზრდელობა; აქ, ჩვენში, როგორც იქნება გადებ დაი-ფარავთ თავსათ.“

კერძო ბანტებადებანი.

კვირას 12 აპრილს, საზაფხულო თეატრში, რუსული არ-ტისტების ამსანაგობისაგან იქნება წარმოდგენილი: დილით „Ре-ვизоръ“ — გოგოლისა და სალამთით — „Чародѣйка“ ტრადია 5 პ. შვაუისკისა.

მიყდი გაქმის, რომ ორივე ეს წარმოდგენის გარეად ჩა-იყლის, რადგანაც ეს ამსანაგობა კარგი არტისტებისაგან არის შედგარი.

Принимается подписка на 1886-1887 г.

(ИЗДАНИЯ ГОДЪ ТРЕТИЙ)

ЕДИНСТВЕННАЯ-ЕЖЕДНЕВНАЯ ТЕАТРАЛЬНАЯ ГАЗЕТА

4 ВЪ ГОДЪ руб. „ТЕАТРЪ и ЖИЗНЬ“ 3 ПОЛГОДА руб.

Въ газетѣ помѣщаются всѣ свѣдѣнія о всѣхъ театрахъ: сто-
личныхъ, провинціальныхъ и заграничныхъ.

Москва. Большая Дмитровка, домъ Солововикова.

Редакторъ-Издатель Ф. Д. ГРИДНИЦЪ.

(3—3)

БІЛОСІРІЙСЬКА МАНУФАКТУРА А. БІЛОВІСЬКОГО

Дозв. Ценз. Тифл. 12-го Апрѣля.

გრ. ჩარგვიანის ხუმა.